სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/186

ქ. თბილისი 05 08 2019 წ.

დოქტორანტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2019 წლის 17 ივლისის №1.1/90 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N 01-05-04/199 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2019 წლის 31 ივლისიდან 21 აგვისტოს ჩათვლით) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019 წლის 27 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე შაბათ-კვირის და გამოსასვლელი დღეების გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი; ოთახი N325);

2. დოქტორანტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის დოქტორანტურის დეპარტამენტის უფროსს დ.ბიბილეიშვილს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა მოამზადონ მოტივირებული დასკვნები (დანართი 2) არსებული წესის თანახმად არაუგვიანეს 2019 წლის 12 სექტემბრისა;

5. 2019-2020 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტთა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარდგენა უზრუნველყოს დოქტორანტურის დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2019 წლის 16 სექტემბრისა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს ზ.გასიტაშვილს;

7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

დანართი 1

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. წინა საფეხურის დიპლომის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლი;
5. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების (პირველადი ჩარიცხვის; სტატუსის შეჩერების/ აღდგენის/ შეწყვეტის) დამოწმებული ასლები
6. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორის მოადგილე _____ზ.გასიტაშვილი

დასკვნა

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
განათლების საფეხური:	❑ დოქტორანტურა

ინფორმაცია გამომშვები უმღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:	
გამომშვები უსდ-ს დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედი-ტი	აკადემიური საათი			ECTS კრედი-ტი	აკადემიური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:	
❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა	❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული
შენიშვნა	
_____	

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:	

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი		
№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი
	სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:	

დოქტორანტურის დეპარტამენტის უფროსი:

_____ _____

_____ _____

დ.ბიბილეიშვილი ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

_____ _____

ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

_____ _____

ხელმოწერა